ილიას სახელმწიფო
უნივერსიტეტი

სასამართლოს მიერ საკუთარი ინიციატივით ქმედების კვალიფიკაციის შეცვლის მიმართება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპთან

თორნიკე წერეთელი

სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის ფაკულტეტზე სისხლის სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სისხლის სამართლის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი - გოგა ხატიაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2024

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების დაცვის შესაბამისად

თორნიკე წერეთელი
15.06.2024

აბსტრაქტი

ნაშრომში განხილულია მოსამართლის მიერ საკუთარი ინიციატივით ბრალდების კვალიფიკაციის შეცვლის საკითხი და ამ ცვლილების გავლენა ბრალდებულის საპროცესო გარანტიებზე. კვლევა ამახვილებს ყურადღებას იმ რისკებზე, რომელიც შეიძლება გამოიწვიოს ბრალდების კვალიფიკაციის ცვლილებამ, განსაკუთრებით ბრალდებულის ინფორმირების უფლების, დაცვის მოსამზადებლად საკმარისი დროისა და შესაძლებლობების, და ასევე, სისხლის სამართლის პროცესის თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპების კუთხით.

ნაშრომი განიხილავს, თუ როგორია კანონმდებლობისა და პრაქტიკის ხედვა ბრალდების კვალიფიკაციის შეცვლასთან დაკავშირებით. მოსამართლის მიერ ბრალდების კვალიფიკაციის ცვლილების ანალიზი ეფუძნება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსს და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკას. განხილულია საქართველოს საერთო სასამართლოების პრაქტიკა, როგორ უნდა მოხდეს ბრალდების კვალიფიკაციის ცვლილება ისე, რომ არ დაირღვეს ბრალდებულის უფლებები და უზრუნველყოფილი იყოს სამართლიანი სასამართლო პროცესი.

კვლევა აჩვენებს, რომ ბრალდების კვალიფიკაციის ცვლილებისას სასამართლომ აუცილებელია, რომ უზრუნველყოს ბრალდებულის უფლებების დაცვა. ბრალდებულს უნდა მიეცეს საკმარისი დრო და შესაძლებლობა, რათა მოამზადოს დაცვა ახალი ბრალდების მიმართ. ეს მოითხოვს, სასამართლომ ნათლად განსაზღვროს ახალი ბრალდება და აცნობოს ამის შესახებ ბრალდებულს. თუ ბრალდებულის უფლებები დაირღვევა, მნიშვნელოვანია, რომ ეს ხარვეზები გამოსწორდეს ზემდგომ ინსტანციებში, რათა ბრალდებულს ჰქონდეს სათანადო დრო და შესაძლებლობა მოამზადოს დაცვა.

საკვანძო სიტყვები: ბრალდება, ბრალდების კვალიფიკაცია, ინფორმირების უფლება, საკმარისი დრო და შესაძლებლობები.